ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4108610

ნომერი: AR1620526

თარიღი : 02.08.2018

გაცემის თარიღი : 08.08.2018

გაცნობის თარიღი : 08.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ ბაზერაშვილი პ/ნ 01030003358
- გორგასლის ქ.#7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 2 აგვისტოს AR1620526 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.04.001.006) სასტუმროს ტიპის საცხოვრებლის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
პასუხად გაცნობებთ,რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ში და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ში;
პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნული ზონების მინიმალურ მოთხოვნებს, შესაბამისად საკითხი განხილულ უნდა იქნას ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, რისთვისაც ახალი განაცხადი უნდა ატვირთოთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ვებ გვერდზე. ურბანულ საკითხებზე განცხადებებების რეგისტრაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ urban.tbilisi.gov.ge-ს და განაცხადი დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში კერძოდ:
<u>• ინდივიდუალური პარამეტრის დადგენა მხოლოდ აღნიშნულის განხორციელებისა და დადებითი პასუხის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე მსჯელობა.</u>
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 60 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 2 აგვისტოს AR1620526 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.